საქართველოს მთავრობის განკარგულება

№907 2014 წლის 22 მაისი ქ. თბილისი

საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზაზე (დარიალის ხეობა) განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების შესახებ

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, 2014 წელს:

ა) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით უზრუნველყოს საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზაზე (დარიალის ხეობა) განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების, აგრეთვე, მათთან დაკავშირებული საზედამხედველო და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება;

ბ) ამ განკარგულებით გათვალისწინებული სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები განახორციელოს 2 ეტაპად: პირველ ეტაპზე - მდინარის კალაპოტის და საავტომობილო გზის გაწმენდითი

სამუშაოები, ხოლო მეორე ეტაპზე - დაზიანებული საავტომობილო გზის აღდგენითი სამუშაოები;

გ) „საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის №172 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის საფუძველზე, ამ განკარგულებით გათვალისწინებული სალიკვიდაციო სამუშაოები განახორციელოს პროექტირების პარალელურ რეჟიმში, ეტაპობრივად, შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს გამოუყოს 7 000 000 (შვიდი მილიონი) ლარი, პირველ ეტაპზე განსახორციელებელი მდინარის კალაპოტის და საავტომობილო გზის გაწმენდითი სამუშაოებისათვის და მათთან დაკავშირებული საზედამხედველო და საპროექტო მომსახურების შესყიდვისათვის.

3. „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-7 და მე-12 პუნქტების საფუძველზე, შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ (ს/კ 205140257) მიერ ამ განკარგულებით გათვალისწინებული სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით გასაფორმებელი ხელშეკრულებების მიმართ არ გავრცელდეს ამავე ბრძანებით დამტკიცებული

წესის მე-19 მუხლის მე-7 პუნქტითა (წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში) და მე-20 მუხლით (ხელშეკრულების ფასის ოდენობის გაზრდის აუცილებლობის შემთხვევაში) დადგენილი მოთხოვნები.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი